

საქართველოს ეროვნული ბანკი

## სატენდერო დოკუმენტაცია

ავტომობილების რეცხვისა და სალონის გაწმენდის  
(ქიმწმენდა) მომსახურების შესყიდვა  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის  
საშუალებით

(კლასიფიკატორის დანაყოფი 50100000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე.

ქ. თბილისი  
2016 წელი

## სარჩევი

ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად .....	3
1. ტენდერში მონაწილეობის უფლება .....	3
2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებელი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.....	3
3. ტექნიკური დოკუმენტაცია .....	3
4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები .....	4
5. გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება:.....	4
6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:.....	5
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	6
დანართი N1 (ფასების ცხრილი).....	10

# ინსტრუქცია

## გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

### 1. ტენდერში მონაწილეობის უფლება

1.1. ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც გაცნობილია და ეთანხმება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს და არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში („შავი სია“).

### 2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

- 2.1. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების მიწოდების სულ მცირე 1 (ერთი) წლის გამოცდილება.
- 2.2. მიმწოდებელს ე. თბილისში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 8 ავტოსამრეცხაო სადგური, ამასთან, თითოეულ ავტოსამრეცხაო სადგურზე უნდა ფუნქციონირებდეს მინიმუმ 2 სამრეცხაო ბოქსი.

### 3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- ინფორმაცია უკანასკნელი 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების მიწოდების შესახებ, შემსყიდველის მითითებით;
- ინფორმაცია შემოთავაზებული ავტოსამრეცხაო სადგურების მდებარეობის შესახებ, მისამართების მითითებით;
- პრეტენდენტის სრული რეკვიზიტები (დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები);
- ფასების ცხრილი დანართი N1-ის შესაბამისად.

3.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად ადასტურებს, რომ შესყიდვის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, იგი იმოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„ი“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტის მოთხოვნებზე.

- a) სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული გასაწევი მომსახურება სრულად უნდა შეესაბამებოდეს მე-5 პუნქტში მოცემულ ტექნიკურ დავალებას;
- b) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის თითოეული დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის (თუ პრეტენდენტი იურიდიული პირია) ან პრეტენდენტის (თუ პრეტენდენტი ფიზიკური პირია) ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში);
- c) ტექნიკური დოკუმენტაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- d) ფაქტიურად მიწოდებული რეცხვის და ქიმწმენდის ტალონების ღირებულების ანაზღაურება მოხდება, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სათანადო დოკუმენტაციის (ინვოისი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ა.შ.) წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით, რომელი უფრო გვიან მოხდება). წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;
- e) სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;
- f) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რათა დადასტურდეს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის ან აუდიტის დასკვნით ან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით.
- g) აღნიშნული დასაბუთების წარუდგენლობა ან შეუსაბამობა სატენდერო განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე;
- h) შემსყიდველი არ არის ვალდებული შეისყიდოს წინამდებარე დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრული მოცულობა;
- i) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

#### 4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები

4.1. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა პრეტენდენტს არ მოეთხოვება.

#### 5. გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება:

5.1. შესყიდვის ობიექტი: მსუბუქი და მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილების უკონტაქტო რეცხვის და სალონის გაწმენდის (ქიმწმენდა) მომსახურების შესყიდვა:

- მსუბუქი ავტომობილის რეცხვა - 1320-ჯერ;

- მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის რეცხვა - 144- ჯერ;
- მსუბუქი ავტომობილის ქიმწმენდის - 5 ტალონი;
- მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის ქიმწმენდის - 3 ტალონი.

## 5.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

### 5.2.1. რეცხვითი მომსახურება უნდა განხორციელდეს საბარათე (პლასტიკური ბარათი) სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს შემდეგს:

- მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს სამ სამუშაო დღეში შემსყიდველს საკუთარ ვებ-გვერდზე გაუხსნას სპეციალური ანგარიში და გადასცეს პლასტიკური ბარათები უფასოდ;
- მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ შეძენილი რეცხვის მომსახურების ჩარიცხვა აღნიშნულ ანგარიშზე, პლასტიკურ ბარათებზე მისი შემდგომი განაწილების მიზნით;
- სპეციალურ ანგარიშზე რეცხვის მომსახურების ჩარიცხვის შემდეგ იგი წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას და შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, გადაანაწილოს მის კუთვნილ ერთ ან რამდენიმე პლასტიკურ ბარათზე ინტერნეტით მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, შემსყიდველის სახელისა და საიდენტიფიკაციო პაროლის გამოყენებით;
- პლასტიკური ბარათის წარდგენის შემთხვევაში მისი მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს ბარათზე ჩარიცხული რეცხვის მომსახურება მიმწოდებლის კუთვნილ ნებისმიერ ავტოსამრეცხაო სადგურში;
- რეცხვითი მომსახურების განხორციელებისას მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ავტომობილის ძარის, სალონის და საბარგულის რეცხვა, უკონტაქტო რეცხვისათვის საჭირო მაღალი წნევის სარეცხი აპარატურით, მტვერსასრუტით და სხვა საჭირო ინვენტარით. რეცხვისას გამოყენებული უნდა იქნეს მაღალი ხარისხის სარეცხი და საწმენდი საშუალებები.

### 5.2.2. სალონის გაწმენდის (ქიმწმენდა) მომსახურება უნდა განხორციელდეს ტალონური სისტემით რაც გულისხმობს შემდეგს:

- მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის თითოეული მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში გადასცეს მას ქიმწმენდის ტალონები მოთხოვნილი რაოდენობით.
- ქიმწმენდის ტალონები უნდა იყოს უვადო;
- მიმწოდებელი ვალდებულია ავტომობილების სალონის გაწმენდა (ქიმწმენდა) განხორციელოს ხელით, სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და მაღალი ხარისხის სარეცხი საშუალებების გამოყენებით.

5.3. რეცხვისა და ქიმწმენდისას ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღუროს შემსყიდველს შეკეთების ხარჯები.

5.4. მიმწოდებელმა რეცხვის და ქიმწმენდის ტალონების გაცემა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.5. მიმწოდებელმა ავტომობილების რეცხვა უნდა უზრუნველყოს კვირის ნებისმიერ დღეს 9.<sup>00</sup>-21.<sup>00</sup> საათამდე.

## 6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

6.1. სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ზურაბ ღონღაძე: ტელ: 2406 369; ელ.ფოსტა: [zgongadze@nbg.gov.ge](mailto:zgongadze@nbg.gov.ge)  
ნიკოლოზ ჩუხრუკიძე: ტელ: 2406 398; ელ.ფოსტა: [nchukhrukidze@nbg.gov.ge](mailto:nchukhrukidze@nbg.gov.ge)  
დავით ჭელიძე: ტელ: 2406 369; ელ.ფოსტა: [dchelidze@nbg.gov.ge](mailto:dchelidze@nbg.gov.ge)

### **შენიშვნები:**

1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია საიტზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge);
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ მოცემულია საიტზე: [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge);

## **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ხელშეკრულება N**

ქ. თბილისი  
2017 წელი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი“,  
მისამართი: თბილისი, 0114, სანაპიროს 2;  
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148

მიმწოდებელი: \_\_\_\_\_  
იურიდიული მისამართი: \_\_\_\_\_  
ფაქტიური მისამართი: \_\_\_\_\_  
საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_  
საბანკო რეკვიზიტები: \_\_\_\_\_

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება № SPA16000\_\_\_) ჩატარების შედეგად დადებულ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### **1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ავტომობილების რეცხვის და ქიმწმენდის მომსახურების (შემდგომში „მომსახურება“)

(CPV კოდი – 50112300), შესყიდვა ხელშეკრულების პირობების და დანართი N1-ის შესაბამისად.

## **2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
- 2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სეზ-ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და სეზ-ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.
- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## **3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

- 3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობების და ვადების შესაბამისად.
- 3.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სპეციალური ანგარიშზე რეცხვითი მომსახურების ჩარიცხვისას, ხოლო ქიმწმენდის ტალონების ფაქტიურად გადაცემისას მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
- 3.3. შემსყიდველის მხრიდან 3.2 პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სეზ-ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

## **4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ლარს („ხელშეკრულების ფასი“).
- 4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
- 4.3. გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, რეცხვითი მომსახურების შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვის ან/და ფაქტიურად გადაცემული ქიმწმენდის ტალონების მიღებიდან და მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამხედვეთ რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## **5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება.
- 5.2. შემსყიდველს უფლება აქვს არ შეისყიდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული მოცულობა.
- 5.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული რეცხვის ტალონის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 5.5. რეცხვისას ავტომატის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღუროს შემსყიდველს შეკეთების ხარჯები.

5.6. მიმწოდებელს უფლება აქვს გაცემული რეცხვის ტალონების სანაცვლოდ მიიღოს მისი ღირებულება.

## **6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

- 6.1. ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების, შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების თითოეული შემთხვევისათვის, რომელიც დაფიქსირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული კონტროლის/ინსპექტირების შედეგად, “მიმწოდებელი” მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 2.0%-ის ოდენობით.
- 6.2. პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
- 6.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 6.1 პუნქტში აღნიშნული საჯარიმო სანქციის 3-ჯერ ან/და მეტჯერ გამოყენების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით.
- 6.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
- 6.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 7.5. მხარე ვალდებულია 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **8. დაუძლეველი ძალა**

- 8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,



იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### **9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### **11. ზოგადი დებულებები**

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**შემსყიდველის მხრიდან:**

*(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,  
ხელმოწერა და თანამდებობა)*

**მიმწოდებლის მხრიდან:**

*(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,  
ხელმოწერა და თანამდებობა)*

ფასების ცხრილი

N	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ფასი (ლარებში)		
			ერთეულის	საერთო	
1	მსუბუქი ავტომობილის რეცხვა	1320			
2	მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის რეცხვა	144			
3	მსუბუქი ავტომობილის ქიმწმენდა	5			
4	მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის ქიმწმენდა	3			
ჯამი					

**შენიშვნა:** ფასები მოიცავს მომსახურების სათანადოდ გაწევისათვის აუცილებელ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

(პრეტენდენტის დასახელება)

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

(უფლებამოსილი პირის თანამდებობა)

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

ბ.ა.